

გლობალიზაცია და ეგზოგენური ფაქტორების გავლენა საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე

იოსებ არჩვაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველო
daswreba@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეგზოგენური ფაქტორები, მოსახლეობის კეთილდღეობა

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების კვალობაზე ქვეყნის ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკისადმი სულ უფრო ღიად ატრანსპარენტული ხდება. 2018 წლისათვის საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა მსოფლიოს დაახლოებით 140 ქვეყანასთან, ხოლო საგარეო სავაჭრო ბრუნვა ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტთან მიმართებაში შეადგენს 74.5 პროცენტს, რაც ერთერთი მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. ქვეყნის ეკონომიკა და მოსახლეობის კეთილდღეობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საგარეო-ეკონომიკურ კავშირებსა და ინვესტიციებზე. დღეისათვის სამომხმარებლო ბაზრის 70%-ზე მეტი იმპორტულ საქონელზე მოდის და ამგვარი დამოკიდებულება წლიდან წლამდე იზრდება. ამას ემატება ისიც, რომ კვლავ მაღალი რჩება საქართველოს ეკონომიკის – დეპონიტებისა და სესხების დოლარიზაციის დონე, რაც, მიუხედავად სამომხმარებლო რესურსებისა და შესაძლებლობების დივერსიფიცირებისა, კიდევ უფრო ზრდის კორელაციას მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებსა, ერთი მხრივ, და საქართველოს ეკონომიკის ფაქტობრივ მდგომარეობასა და ქვეყნის მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობას შორის, მეორე მხრივ.

მსოფლიო ეკონომიკისადმი საქართველოს მაღალ დამოკიდებულებას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ „ტრადიციულად“ ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსი მკვეთრად უარყოფითია. 2017 წელს საქართველოს ექსპორტით იმპორტის გადაფარვამ მხოლოდ 34% შეადგინა, რაც ჯერადად დაბალია არა მარტო სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან, არამედ ყველა სახმელეთო მეზობელთან შედარებით. კერძოდ, აღნიშნული მაჩვენებელი სომხეთში შეადგენს 77.4 პროცენტს, აზერბაიჯანში – 161.7 პროცენტს, თურქეთში – 73.9 პროცენტს, ხოლო რუსეთში – 156.7 პროცენტს. მარტო აგროსასურსათო პროდუქციის მიხედვით, 2000 წლის შემდეგდროინდელ პერიოდში საქართველომ ექსპორტზე გაიტანა 8.0 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი ღირებულების და შემოიტანა ორჯერ მეტი – თითქმის 16.4 მლრდ. დოლარის აგროსასურსათო პროდუქცია, ანუ ექსპორტით იმპორტის გადაფარვამ ამ სასაქონლო ჯგუფის მიხედვით შეადგინა მხოლოდ 49.2 პროცენტი. **2011-2017 წლებში საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო სალდომ მხოლოდ აგროსასურსათო პროდუქციის მიხედვით 3.8 მლრდ. აშშ დოლარს გადაჭარბა.** ამ წლებში აგროსასურსათო პროდუქციის წარმოებამ 8.2 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რომლიდანაც ექსპორტზე გავიდა 4.6 მლრდ. აშშ დოლარის პროდუქცია, შემოვიდა

– 8.4 მლრდ. აშშ დოლარის პროდუქცია. ანუ, **ქვეყნის შიდა მოხმარებისათვის განკუთვნილი 12.0 მლრდ. აშშ დოლარის აგროსასურსათო სახეობის პროდუქციიდან 70 პროცენტი იმპორტირებულ პროდუქციაზე მოდიოდა.** ექსპორტზე ამგვარი დამოკიდებულება შიდა ბაზრის ფასებს განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურისაგან.


ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ საჭიროა სამამულო წარმოების ისეთი განვითარება, რომელიც ექსპორტზე მეტად ორიენტირებული იქნება იმპორტირებული პროდუქციის სამამულოთი ჩანაცვლებაზე. შესაბამისად, მოსაძებნია ის “ოქროსშუალედი”, რომელიც გააგრძელებს მსოფლიო მეურნეობრიობაში საქართველოს ეკონომიკის აქტიური ჩართვის პროცესს და, იმავე დროს, შიგა მოთხოვნასა და მოხმარებას, ადგილობრივი მოხმარებისა და კეთილდღეობის დონეს რაც შეიძლება ნაკლებად დამოკიდებულს გახდის ეგზოგენურ ფაქტორებზე.

ღია ეკონომიკა და ინტენსიური კავშირები დანარჩენ მსოფლიოსთან მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის შიდა სამომხმარებლო ფასების დონეზე, რის გამოც საქართველოში სამომხმარებლო ფასები საკმაოდ მაღალია მოსახლეობის საშუალო შემოსავლებთან შედარებით. **საქართველოში უფრო ძვირია აშშ-სთან შედარებით, საცალო ფასები რძეზე, ბანანზე, ბენზინზე, ბუნებრივ აირზე;** საცალო ფასები კვერცხზე, ქათმისა და საქონლის ხორცზე, აგრეთვე მობილური ტელეფონით საუბრის ტარიფი საქართველოში ახლოსაა ამერიკის ანალოგიურ მაჩვენებლებთან, რაზეც მკაფიო წარმოდგენას ქვემოთ გრაფიკი №1 იძლევა.


ამავე დროს, იმის გამო, რომ საშუალო ხელფასი როგორც ერთ დაქირავებით დასაქმებულზე, ისე ყოველ ათას კაცზე საქართველოში ჯერადად დაბალია აშშ-სთან შედარებით, საქართველოს საშუალო ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობის ჩამორჩენა აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებელთან კიდევ უფრო შთამბეჭდავია, რაზეც ქვემოთ, გრაფიკი №2 იძლევა წარმოდგენას.

საშუალო ხელფასით, ჩვენთან, აშშ-სთან შედარებით, შესაძლებელია 4.7-ჯერ ნაკლები ელექტროენერჯის, 10.1-ჯერ ნაკლები ბენზინის, 5.5-ჯერ ნაკლები საქონლის ხორცის შექენა... ბიგმაკის ფასის მიხედვით, რომელსაც ხშირად გამოიყენებენ ქვეყნების ვალუტების რეალური მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის დასადგენად, ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობა საქართველოში თითქმის 5-ჯერ უფრო დაბალია აშშ-თან შედარებით.

გრაფიკი 1



გრაფიკი 2




საქართველოში კეთილდღეობის (შემოსავლების) დაბალი, თითქმის ორმაგი ჩამორჩენა მსოფლიოს საშუალო დონესთან მნიშვნელოვნად განპირობებულია დაქირავებით დასაქმებულთა დაბალი წილითა და, ამის შესაბამისად, საზოგადოების საშუალო ფენის დაბალი ხვედრითი წილით მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ეს იწვევს შრომით მიგრაციას საქართველოდან, რომელიც ფაქტობრივად ყველაზე მეტად შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში მყოფ მოსახლეობას შეეხება.

ზემოთ უკვე ნახსენები მიზეზების გამო, ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე საქართველოს მოსახლეობა შემცირებულია 32 პროცენტით, მაშინ როდესაც დასაქმებულთა რაოდენობა – 1.5-ჯერ, მათ შორის დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა – 2.9-ჯერ (თითქმის 1.5 მილიონი

კაცი)¹. დღეისათვის საქართველოდან შრომით მიგრანტთა რაოდენობა ერთ მილიონ ადამიანს აღემატება. მათი დიდი ნაწილი საზღვარგარეთ არაფორმალური და არალეგალური შრომითი საქმიანობითაა დაკავებული. საქართველო მიეკუთვნება იმ იშვიათ სახელმწიფოთა რიგს (თუ ერთადერთს არა), რომელსაც საზღვარგარეთ გაცილებით მეტი დაქირავებით დასაქმებული ყავს, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში.

¹ საქართველოს მოსახლეობა 1989 წლის და საწყისში შეადგენდა 5460, ათას კაცს, 2017 წლისათვის – 3720 ათას კაცს (-32%), დასაქმებულთა რაოდენობა იყო, შესაბამისად, 2580 ათასი კაცი და 1706.6 ათასი კაცი, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა: 1989 წელს– 2228 ათასი კაცი, 2017 წელს კი – 824.2 ათასი კაცი (-63.0%).

გრაფიკი 3



ოფიციალურად უმუშევრობის დონე 2017 წლის მიხედვით საქართველოში შეადგენს 13.9 პროცენტს, ხოლო აბსოლუტური რიცხოვნობა — 276.4 ათას კაცზე მეტს². მაგრამ ქვეყანაში უმუშევრობის აბსოლუტური დონის განსაზღვრისათვის აუცილებელია, უმუშევართა კონტინგენტს ქვეყნის ტერიტორიაზე დაემატოს ქვეყნიდან გასულ შრომით მიგრანტთა რაოდენობაც. — ეს უკანასკნელნი ხომ იმითომ გახდნენ მიგრანტები, რომ საკუთარ სამშობლოში ვერ იშოვნეს სამუშაო, არ იყოს სათანადო რაოდენობის სამუშაო ადგილები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოში ოფიციალურად დაფიქსირებულ 1983.1 ათას ეკონომიკურად აქტიურ ადამიანს უნდა დაემატოს ქვეყნიდან გასული მიგრანტების რაოდენობაც (არანაკლებ 1 მილიონი კაცი) და მხოლოდ ამის საფუძველზე იქნეს გაანგარიშებული ქვეყნის მოსახლეობის უმუშევრობის აბსოლუტური დონე.

თუ ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რიცხოვნობას აღნიშნული პრინციპით შევაფასებთ, აღმოჩნდება, რომ დღეისათვის საქართველოს პოტენციური სამუშაო ძალის რიცხოვნობა უნდა იყოს დაახლოებით 3 მილიონი (1983.1 + 1000 = 2983.1 (ათასი კაცი). აქედან, საქართველოში სამუშაო ვერანხა 1276.4 ათასმა (276.4 ათასი — საქართველოში დაფიქსირებული უმუშევარი და 1000 ათასი — შრომითი მიგრანტი), რის გამოც ქვეყანაში უმუშევრობის აბსოლუტური, ბრუტო დონე საქართველოს მთელი შრომითი პოტენციალის — ქვეყანაში მყოფთა და ქვეყნიდან გასულ ეკონომიკურ აქტიურ პირთა ერთობლივი რიცხოვნობის — გათვალისწინებით, 42.8%-ია (=1276.4/2983.1). შესაბამისად, საქართველოში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 57.2%, ხოლო დაქირავებით დასაქმებულთა (824.2ათასიკაცი) წილი საქართველოს ეკონომიკურად აქტიურ მთელ (შრომითი მიგრანტების გათვალისწინებით) მოსახლეობაში მხოლოდ 27.6%-ია. გამოდის, რომ ანაზღაურებით შრომით საქმიანობას საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე დღეისათვის ფაქტობრივად ახერხებს

საქართველოს მხოლოდ ყოველი მეოთხე შრომის-უნარიანი ასაკის მოქალაქე.

ვფიქრობთ, სანამ საქართველო რჩება აქტიური შრომითი მიგრაციის ქვეყნად, მიზანშეწონილი იქნებოდა მისი მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე, შრომაში ჩართულობისა და უმუშევრობის დონეები გაანგარიშებული ყოფილიყოს როგორც ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით, ისე ქართველ (ინსტიტუციურად და არა მხოლოდ ეთნიკურად) შრომით მიგრანტთა რაოდენობის გათვალისწინებით.


ბოლო წლებში (2010–2017 წწ.) საქართველოში საშუალო ნომინალური ხელფასის ზრდის ტემპი მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდა მთლიანი შიგა პროდუქტის ნომინალური ზრდის ტემპს. — 2017 წლისთვის მათი სიდიდე 2010 წელთან შედარებით შეადგენდა, შესაბამისად, 179.2%-სა და 183.2%-ს. ამავე დროს, კვლავაც დაბალი რჩება ხელფასის მიმდებთა, დაქირავებით დასაქმებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობაში. დაბალია მშპ-ის ხელფასოტევალობა, რომელიც საქართველოში დაახლოებით 1.44-ჯერ ჩამორჩება საშუალო ევროპულ დონეს და 1.22-ჯერ — აშშ-ის დონეს. გრაფიკი №3.

აღნიშნულის გამო, საშუალო ხელფასის დონით საქართველოს შედარებამ სხვა ქვეყნებთან მნიშვნელოვანწილად დაკარგა თავისი ეკონომიკური შინაარსი და გამოყენებითი ღირებულება. მაგალითად, საქართველოს აშშ-თან შედარებით ყოველ 1000 მცხოვრებზე თითქმის 2-ჯერ ნაკლები დაქირავებით დასაქმებული ჰყავს — შესაბამისად, 222 კაცი და 441 კაცი³. ამიტომ საშუალო ხელფასების შედარება, თვით მათი მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებითაც კი, გარკვეულწილად არასრულ სურათს იძლევა და შეიძლება არასწორი დასკვნების გაკეთების საფუძველიც კი გახდეს, როდესაც საქმე ეხება უკვე შინამეურნეობათა და ზოგადად, საზოგადოების წევრთა

² წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

³ აშშ-ის 325.7 მილიონი მოსახლეობიდან დაქირავებით დასაქმებულია 143.6 მილიონი (44.1%), მაშინ როდესაც საქართველოს 3.720 მილიონი მცხოვრებიდან ხელფასის მიმდებთა რაოდენობა მხოლოდ 824.2 ათასი კაცია (22.2%).

გრაფიკი 4



კეთილდღეობის დონეთა შედარებას. კერძოდ, **ნეტო ხელფასები საქართველოში აშშ დონის 13 პროცენტია, თუმცა ფასების ფაქტობრივი დონის გათვალისწინებით** (საქართველოში ფასების დონე აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებლის 39 პროცენტს შეადგენს) – **მესამედი (33.5 პროცენტი)**. იმის გამო, რომ საქართველოში მოსახლეობის თანაბარ რიცხოვნობაზე 2-ჯერ ნაკლები დაქირავებით დასაქმებულია, სახელფასო ფონდის სიდიდე ყოველ 1000 კაცზეც შესაბამისად უნდა დაკორექტირდეს. შედეგად მივიღებთ გარემოებას, როდესაც ყოველ 1000 კაცზე მოსული საშუალო ხელფასის ჯამური მაჩვენებელი საქართველოში აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 6.6 პროცენტი, ხოლო მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით – 16.8 პროცენტია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **საქართველო აშშ-ს ჩამორჩება: საშუალო ნომინალური ხელფასით – 7.7-ჯერ, საშუალო ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობით – 3-ჯერ, საშუალო ხელფასის ჯამური სიდიდით მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე – ნომინალურად 14.7-ჯერ და რეალურად თითქმის 6-ჯერ**. გრაფიკი №4

ქვეყანაში დაბალი შემოსავლებით განპირობებულ დაბალ მოთხოვნას საგრძნობლად ზრდის ქვეყნიდან გასული შრომითი მიგრანტების სამშობლოში რეპატრირებული თანხები. საქართველოდან სამუშაოს საშოვნელად უცხოეთში წასული (ეთნიკური მიგრანტებისა და ქვეყნიდან არაეკონომიკური მიზეზებით გასულთა გარეშე) ჩვენი თანამემამულეების მიერ საქართველოში გადმოგზავნილი თანხების მოცულობამ 2017 წელს 1379.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის საქართველოს მშპ-ის 9.1% და შინამეურნეობათა ფულადი სახსრების 23%-ია. მთლიანად, 2011-2017 წლებში საქართველოში საზღვარგარეთიდან განხორციელებული ფულადი ტრანზაქციებმა შეადგინა 9130.8 მლნ. აშშ დოლარი, რაც, მაგალითად, იმავე პერიოდში საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილ დამატებულ ღირებულებას (8189.6 მლნ. აშშ დოლარი) 11.5 პროცენტით აღემატება.


შრომითი მიგრანტების მიერ საქართველოში დარჩენილი მოსახლეობის მსყიდველობით, გადახდისუნარიან მოთხოვნას 1.3-ჯერ და მეტად ზრდიან. თუმცა, იმის გამო, რომ საქართველოს შიდა სამომხმარებლო ბაზარი იმპორტირებული საქონლითაა გაჯერებული, შრომითი მიგრანტების მიერ საქართველოში განხორციელებული ფულადი ტრანზაქციები საქართველოში „იცვლება“ ასევე იმპორტირებულ საქონელზე და ეს ფული გაედინება საქართველოდან, რის გამოც **ჩვენი ქვეყანა ფაქტობრივად ხდება (რჩება!) სხვაგან შექმნილი დოვლათისა და რესურსების გაცვლის, უტილიზაციის ადგილად**, ხატონად რომ ვთქვათ, ერთგვარ „მეგაერგნეთად“. მაგალითად, 2005 წლის შემდეგ საქართველოს უარყოფითმა ჯამურმა სავაჭრო ბალანსმა მხოლოდ თურქეთთან თითქმის ასტრონომიულ მასშტაბს – 11440 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც იმავე პერიოდში მთელი მსოფლიოდან საქართველოში განხორციელებული ფულადი ტრანზაქციების 84.8 პროცენტია! – თურქეთის წილი კი საქართველოს მთლიან იმპორტში არასდროს ყოფილა 1/5-ზე მეტი (2017 წ. – 17.2%)...

მსოფლიო ეკონომიკაში ჩართულობა, შიდა სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება იმპორტული საქონლითა და ქვეყნის შიდა ფასების დაახლოება მსოფლიო (აშშ) დონესთან ობიექტურად მოითხოვს ოფიციალური საარსებო მინიმუმის გადასინჯვასაც. წლებია, იგი საკმაოდ დაშორებულია ეტიმოლოგიურად სიღარიბის ზღვრთან და ჯერჯერობით არაფერი კეთდება ამ მიმართულებით მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ოთხსულიანი ოჯახის წლიური სიღარიბის ზღვარი აშშ-ში 2018 წლისთვის 25100 აშშ დოლარს შეადგენს⁴, ანუ ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებით თვეში – 1281 ლარს (ლარისა და დოლარის ოფიციალური კურსით).

⁴ იხ. https://en.wikipedia.org/wiki/Poverty_in_the_United_States. კიდევ უფრო მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი ჰავაიზე – 28870 დოლარი და ალიასკაზე – 31380 დოლარი.

გრაფიკი 5



საქართველოში, ოფიციალური სტატისტიკით, საარსებო მინიმუმი ოთხსულიან ოჯახზე თვეში შეადგენს 313.3 ლარს, ანუ ოჯახის ერთ წევრზე 78.3 ლარს – ამერიკული დონის მხოლოდ 6.1%-ს. გრაფიკი №5

შეუძლებელია ქვეყანაში, სადაც ბიგმაკის ფასი აშშ დონის 64 პროცენტია, რიგი პირველადი დანიშნულების საქონლის ფასი ამერიკულის დონეზე და ან უფრო მაღალია, საარსებო მინიმუმი ამერიკულის მხოლოდ 6.1 პროცენტის დონეზე იყოს. – გლობალიზაციის პროცესი ხომ მარტო სასაქონლო ნაკადების ზრდას და ქვეყნების იმპორტდამოკიდებულების მატებას არ ნიშნავს. ეს აგრეთვე არის მოწინავე ქვეყნების მოხმარების ფორმის, სტილის, წესის, მასშტაბების გადმოღებისა და დამკვიდრების პროცესი.

საარსებო მინიმუმის ხელოვნური შემცირება ნომინალურად კი ამცირებს ქვეყანაში სიღარიბის დონეს, ღარიბთა რიცხოვნობას, თუმცა ამით პრობლემის სიმწვავეს არ ხსნის. ოფიციალურ საარსებო მინიმუმზე ორიენტირებული ინდიკატორები კი ლატენტური ფორმით კვლავ რჩებიან საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის, უკმაყოფილების, მიგრაციის წყაროდ. ჩვენი **აზრით, სიღარიბის ზღვარი საქართველოში აშშ-ის ფაქტობრივი დონის არანაკლებ 15-16 პროცენტი უნდა იყოს, რაც ვალუტების პარიტეტის გათვალისწინებით აშშ-ის ფაქტობრივი დონის 38-40 პროცენტია.** – საშუალო, ოთხსულიანი ოჯახისათვის ეს

ამჟამინდელი ფასებით, თვეში 800–850 ლარია! აღნიშნული მეთოდური გარღვევის გარეშე ვერ განხორციელდება ქვეყნის მოსახლეობის სრულყოფილი სოციალური კლასტერიზაცია და, შესაბამისად, ვერ გატარდება ეფექტიანი სოციალური პოლიტიკა.⁵

მსოფლიო მეურნეობრიობაში ჩართვა, მსოფლიო დონის საქონლითა და მათი შესატყვისი ფასებით შიდა ბაზრის გაჯერება სულ უფრო მეტი სიმწვავეთ აყენებენ მოსახლეობის კეთილდღეობისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის განსაზღვრაში ადეკვატური ინდიკატორების განსაზღვრის აუცილებლობას.

შესაბამისად, ქვეყნის მდგრადი, რყევებისაგან თავისუფალ ეკონომიკური განვითარებისათვის ორი ურთიერთდაკავშირებული ასპექტი იკვეთება: ერთი მხრივ, ეკონომიკის შემდგომი გახსნილობა, ლიბერალიზაცია, ბიზნესის კეთების პირობების გაუმჯობესება, მსოფლიო მეურნეობრიობაში უფრო აქტიური ჩართვა და, მეორე მხრივ, ქვეყანაში სიღარიბის არსებული დონის შემცირება და მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება მსოფლიოში მიღებული სტანდარტებისა და ინდიკატორების გათვალისწინებით. აღნიშნულის გარეშე ქართული სახელმწიფო შეიძლება კვლავაც დიდხანს დარჩეს რიგი სოციალურ-ეკონომიკური რისკებისადმი შედარებით იოლად მოწყვლადი ეკონომიკის მქონე ქვეყნად.

⁵ ჩვენი აზრით, შესაძლებელია მოსახლეობის დიფერენცირება მოხდეს შემდეგ ჯგუფებად: ღარიბები (დატაკები, უქონელები, საშუალოდ ღარიბები, ხელმოკლენი – სოციალური ღარიბები...), საშუალო კლასი (დაბალი ფენა, მაღალი ფენა), მდიდრები (შეძლებულები და საკუთრივ მდიდრები).

GLOBALIZATION AND INFLUENCE OF EXOGENOUS FACTORS ON THE WELFARE OF THE POPULATION OF GEORGIA

JOSEPH ARCHVADZE

Academic Doctor in Economics,
Professor of Kutaisi University
daswreba@yahoo.com

KEYWORDS: GLOBALIZATION, EXOGENOUS FACTORS, WELFARE OF THE POPULATION

SUMMARY

Involvement in the world economy makes the economy of Georgia and the welfare of its population more dependent on the global process and the global market conjuncture. The small size of our country's economy, much greater import than export and consumer market satiety with imported products increases the risk of dependence on exogenous factors. The high level of dollarization of economy, savings and credit resources strengthens the vulnerability of the welfare of Georgian economy and its population toward global processes.

Today, more than 70% of consumer market comes to imported goods. In addition, Georgia, comparing to its neighbouring countries, is far behind by the negative balance of trade. In Georgia the number of wage earners out of 1000 people is twice less than in the United States of America, and the purchasing power of average salary is 6 times less than the level of the USA and 2 times less, than average global level.

The population of Georgia has decreased by 32% compared to late 1980s, while the number of employees by - 1.5 times, among them employed employees - by 2.9 times. The number of migrant workers is more than 1 million and most of the are engaged with the informal and illegal labor activities. Georgia belongs to the list of rare countries (if not the only), that has more employed citizens abroad than in its own country. Taking this into consideration the real level of unemployment in Georgia is not 13.9% as declared but - about 43%.

Money transfers from abroad increase the income and welfare of Georgian households by 1.3 times.

Large scale involvement in the world economy has not resulted in an adequate change of cost of living and its approach to poverty level. Today, the ratio of Georgia to the USA by the price of Big Mac is 64%, by the consumer prices – 39%, by the living cost – only 6.1%.